

საერთო პირობების დანართი N23 - ანგარიშთა პაკეტი

1. ანგარიშთა პაკეტი წარმოადგენს საბანკო პროდუქტების/მომსახურების ერთობლიობას, რომლის ფარგლებშიც კლიენტი იხდის ანგარიშთა პაკეტის საკომისიოს, რაც მოიცავს და ფარავს ანგარიშთა პაკეტში შემავალი საბანკო პროდუქტებით/მომსახურებით სარგებლობის შესაბამის საკომისიოს იმ პირობებით, რაც განსაზღვრულია კონკრეტული ტიპის ანგარიშთა პაკეტისთვის. ამასთან, თუ ბანკის მიერ სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ანგარიშთა პაკეტში შემავალი საბანკო პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში, კლიენტს დამატებითი საკომისიოს გადახდის გარეშე ექნება ხელმისაწვდომობა შესაბამის საბანკო პროდუქტზე/მომსახურებაზე, რაც ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად არ ვრცელდება საბანკო პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობის ფარგლებში განხორციელებულ ქმედებასთან/ოპერაციასთან დაკავშირებით დადგენილ საკომისიოზე ან/და ნებისმიერი სხვა სახის საკომისიოზე/საფასურზე.
2. საბანკო პროდუქტზე/მომსახურებაზე, რომელიც არ შედის ანგარიშთა პაკეტში ვრცელდება ბანკში დადგენილი საკომისიო.
3. თუ ბანკის მიერ სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ანგარიშთა პაკეტით სარგებლობის შესაძლებლობა კლიენტს მიეცემა შესაბამისი განაცხადის შევსებისა და ხელმოწერის შემდეგ, თუმცა კლიენტის მიერ განაცხადის შევსება და ხელმოწერა არ ნიშნავს ბანკის მხრიდან ანგარიშთა პაკეტით უპირობოდ მომსახურების ვალდებულებას და ბანკი უფლებამოსილია ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი განუცხადოს კლიენტს ანგარიშთა პაკეტით სარგებლობაზე.
4. ანგარიშთა პაკეტით სარგებლობა არ გულისხმობს მასში შემავალი საბანკო პროდუქტის/მომსახურების ავტომატურად გააქტიურებას, შესაბამისად ანგარიშთა პაკეტში შემავალი საბანკო პროდუქტებით/მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელია ბანკის მიერ დადგენილი სტანდარტების/პროცედურების და პირობების შესაბამისად, მათ შორის დადგენილი წესით კლიენტის მიერ შესაბამისი საბანკო პროდუქტის/მომსახურების მიღების/გააქტიურების მიზნით ბანკისთვის მიმართვის შემთხვევაში.
5. ანგარიშთა პაკეტით სარგებლობის დაწყებისთანავე ანგარიშთა პაკეტის პირობები გავრცელდება როგორც კლიენტის ახალ, ისე კლიენტის არსებულ საბანკო პროდუქტებზე/მომსახურებაზე, თუ შესაბამისი საბანკო პროდუქტი/მომსახურება განსაზღვრულია ანგარიშთა პაკეტით.
6. ანგარიშთა პაკეტის საკომისიოს გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგი პირობის შესაბამისად: პირველი თვის/წლის საკომისიოს გადახდა უნდა განხორციელდეს ანგარიშთა პაკეტის გააქტიურებისთანავე. ამასთან, ყოველი შემდგომი თვის საკომისიო გადახდილ უნდა იქნეს შესაბამისი თვის 15 (თხუთმეტი) რიცხვამდე, ხოლო ყოველი მომდევნო წლის საკომისიო შესაბამისი წლის დაწყებისთანავე. ამასთან, ნაკრები N5 და ნაკრები N10 ანგარიშთა პაკეტის ყოველთვიური საკომისიოს გადახდის თარიღია ანგარიშთა პაკეტის გააქტიურების შესაბამისი რიცხვი.
7. ანგარიშთა პაკეტის ტიპებია:
 - 7.1. Account Package და Account Package Non-Residents ანგარიშთა პაკეტები;
 - 7.2. ნაკრები N5 და ნაკრები N10;
 - 7.3. SOLO ანგარიშთა პაკეტი, რომელიც თავის მხრივ იყოფა SOLO, SOLO FAMILY, SOLO CLUB, SOLO PAYROLL და SOLO INTERNATIONAL ანგარიშთა პაკეტებად.
8. Account Package და Account Package Non-Residents ანგარიშთა პაკეტებში შემავალი საბანკო პროდუქტები/მომსახურება და მათთვის დადგენილი პირობები:
 - 8.1. ანგარიში - 1 (ერთი) მულტისავალუტო უნივერსალური ანგარიში;
 - 8.2. ბარათი - 1 (ერთი) MasterCard Standard ან Visa Standard 1 (ერთი) პლასტიკური ბარათი, 1 (ერთი) American Express PLUS პლასტიკური ბარათი, 1 (ერთი) ციფრული ბარათი;
 - 8.3. ინტერნეტ ბანკი;
 - 8.4. მობილ ბანკი;
 - 8.5. ტელეფონ ბანკი;
 - 8.6. SMS ბანკი;
 - 8.7. ავტომატური გადახდები;
 - 8.8. მუდმივი საგადასახადო დავალება;

9. იმ შემთხვევაში თუ კლიენტი უკვეთავს ისეთ ბარათს (გარდა ციფრული ბარათისა), რომელზეც აღნიშნული არ არის მფლობელის სახელი და გვარი და მას უკვე გააქტიურებული აქვს **Account Package ანგარიშთა პაკეტი**, ასეთი ბარათის შეკვეთის შემთხვევაში მას დამატებით უაქტიურდება **Account Package ანგარიშთა პაკეტი**.
10. ნაკრები N5 ანგარიშთა პაკეტებში შემავალი საბანკო პროდუქტები/მომსახურება და მათთვის დადგენილი პირობები:
- 10.1. ანგარიში - 1 (ერთი) მულტისავალუტო უნივერსალური ანგარიში;
- 10.2. ბარათი - 1 (ერთი) MasterCard Standard ან Visa Standard 1 (ერთი) პლასტიკური ბარათი, 1 (ერთი) American Express PLUS პლასტიკური ბარათი, 1 (ერთი) ციფრული ბარათი;
- 10.3. ინტერნეტ ბანკი;
- 10.4. მობილ ბანკი;
- 10.5. ტელეფონ ბანკი;
- 10.6. SMS ბანკი;
- 10.7. ავტომატური გადახდები;
- 10.8. მუდმივი საგადასახდლო დავალება;
- 10.9. ბარათის დაცვის მომსახურება - ტიპი - სტანდარტი კლიენტის არჩევანის შესაბამისად მის ერთ-ერთ ბარათზე;
- 10.10. ყოველთვიურად, ჯამურად 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით შემდეგი სახის ოპერაციები:
- 10.10.1. ინტერნეტ ბანკის და მობილ ბანკის მეშვეობით ლარში გადარიცხვა ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშზე;
- 10.10.2. ინტერნეტ ბანკის და მობილ ბანკის მეშვეობით ლარში გადარიცხვა ბანკის გარეთ არსებულ საბანკო ანგარიშზე;
- 10.10.3. გადახდები ინტერნეტ ბანკის და მობილ ბანკის მეშვეობით;
- 10.10.4. მუდმივი საგადახდლო დავალება ლარში, ბანკის გარეთ არსებულ საბანკო ანგარიშზე;
- 10.10.5. ავტომატური გადახდები;
- 10.10.6. კლიენტის სადებეტო ბარათის მეშვეობით ბანკომატიდან ლარში თანხის განაღდება.
- შენიშვნა:** წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ყოველთვიური ჯამური თანხის დაანგარიშებისას, მასში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი სახის ოპერაციების თანხის მოცულობა, თუმცა აღნიშნული ოპერაციების შესრულებისთვის კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს ბანკის მიერ დაწესებული სტანდარტული საკომისიო:
- ბანკის სერვის ცენტრში ლარში გადარიცხვა ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშზე;
 - ბანკის თვითმომსახურების ტერმინალის მეშვეობით ლარში გადარიცხვა ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშზე;
 - ბანკის სერვის ცენტრში ლარში გადარიცხვა ბანკის გარეთ არსებულ საბანკო ანგარიშზე;
 - ბანკის თვითმომსახურების ტერმინალის მეშვეობით ლარში გადარიცხვა ბანკის გარეთ არსებულ საბანკო ანგარიშზე;
 - გადახდები ბანკის სერვის ცენტრში;
 - Viber გადარიცხვის ოპერაცია;
 - გადახდები bog.pay.ge-ს საშუალებით;
 - მუდმივი საგადახდლო დავალებით ლარში გადარიცხვა ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშზე;
 - მუდმივი საგადახდლო დავალებით ლარში გადარიცხვა ბანკში კლიენტის არსებულ ანგარიშებს შორის.
- წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ყოველთვიური, ჯამური თანხის მოცულობის დათვლის პერიოდის ათვლა დაიწყება ანგარიშთა პაკეტის აქტივაციის თარიღიდან.
11. ნაკრები N10 ანგარიშთა პაკეტებში შემავალი საბანკო პროდუქტები/მომსახურება და მათთვის დადგენილი პირობები:
- 11.1. ანგარიში - 1 (ერთი) მულტისავალუტო უნივერსალური ანგარიში;
- 11.2. ბარათი - 1 (ერთი) MasterCard Standard ან Visa Standard 1 (ერთი) პლასტიკური ბარათი, 1 (ერთი) American Express PLUS პლასტიკური ბარათი, 1 (ერთი) ციფრული ბარათი;
- 11.3. ინტერნეტ ბანკი;

- 11.4. მობილ ბანკი;
- 11.5. ტელეფონ ბანკი;
- 11.6. SMS ბანკი;
- 11.7. ავტომატური გადახდები;
- 11.8. მუდმივი საგადასახადო დავალება;
- 11.9. ბარათის დაცვის მომსახურება - ტიპი - ბანკის გადაწყვეტილებით სტანდარტი ან სტანდარტ პლუსი, კლიენტის არჩევანის შესაბამისად მის ერთ-ერთ ბარათზე;
- 11.10. ყოველთვიურად, ჯამურად 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით შემდეგი სახის ოპერაციები:
 - 11.10.1. ინტერნეტ ბანკის და მობილ ბანკის მეშვეობით ლარში გადარიცხვა ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშზე;
 - 11.10.2. ინტერნეტ ბანკის და მობილ ბანკის მეშვეობით ლარში გადარიცხვა ბანკის გარეთ არსებულ საბანკო ანგარიშზე;
 - 11.10.3. გადახდები ინტერნეტ ბანკის და მობილ ბანკის მეშვეობით;
 - 11.10.4. მუდმივი საგადახდო დავალება ლარში, ბანკის გარეთ არსებულ საბანკო ანგარიშზე;
 - 11.10.5. ავტომატური გადახდები;
 - 11.10.6. კლიენტის სადებეტო ბარათის მეშვეობით ბანკომატიდან ლარში თანხის განაღდება.

შენიშვნა: წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ყოველთვიური ჯამური თანხის დაანგარიშებისას, მასში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი სახის ოპერაციების თანხის მოცულობა, თუმცა აღნიშნული ოპერაციების შესრულებისთვის კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს ბანკის მიერ დაწესებული სტანდარტული საკომისიო:

 - ბანკის სერვის ცენტრში ლარში გადარიცხვა ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშზე;
 - ბანკის თვითმომსახურების ტერმინალის მეშვეობით ლარში გადარიცხვა ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშზე;
 - ბანკის სერვის ცენტრში ლარში გადარიცხვა ბანკის გარეთ არსებულ საბანკო ანგარიშზე;
 - ბანკის თვითმომსახურების ტერმინალის მეშვეობით ლარში გადარიცხვა ბანკის გარეთ არსებულ საბანკო ანგარიშზე;
 - გადახდები ბანკის სერვის ცენტრში;
 - Viber გადარიცხვის ოპერაცია;
 - გადახდები bog.pay.ge-ს საშუალებით.
 - მუდმივი საგადახდო დავალებით ლარში გადარიცხვა ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშზე;
 - მუდმივი საგადახდო დავალებით ლარში გადარიცხვა ბანკში კლიენტის არსებულ ანგარიშებს შორის.

წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ყოველთვიური, ჯამური თანხის მოცულობის დათვლის პერიოდის ათვლა დაიწყება ანგარიშთა პაკეტის აქტივაციის თარიღიდან.
- 12. კლიენტის მიერ ნაკრები N5 და ნაკრები N10 ანგარიშთა პაკეტის 1 (ერთი) თვის საკომისიოს სრულად და ჯეროვნად გადაუხდელობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია კლიენტის თანხმობის/აქცეპტის ან/და შეტყობინების გარეშე დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ნაკრები N5 და ნაკრები N10 ანგარიშთა პაკეტით მომსახურება.
- 13. კლიენტის მიერ ნაკრები N5 და ნაკრები N10 ანგარიშთა პაკეტით მომსახურების შეწყვეტის მოთხოვნისას, მათ შორის ისეთ შემთხვევაში, თუ ნაკრები N5 და ნაკრები N10 ანგარიშთა პაკეტით მომსახურების შეწყვეტასთან ერთად, კლიენტის მიერ მოთხოვნილია ბანკში მოქმედი სხვა ანგარიშთა პაკეტით მომსახურების გაწევა, ნაკრები N5 და ნაკრები N10 ანგარიშთა პაკეტის მოქმედება შეწყდება იმ თვის ბოლოს, რომლისთვისაც კლიენტის მიერ უკვე გადახდილია ანგარიშთა პაკეტით მომსახურების ყოველთვიური საკომისიო, ხოლო ახალი ანგარიშთა პაკეტი (კლიენტის შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში) გააქტიურდება/მალაში შევა ნაკრები N5 და ნაკრები N10 ანგარიშთა პაკეტის მოქმედების ვადის ამოწურვის თარიღის მომდევნო დღიდან.
- 14. SOLO ანგარიშთა პაკეტში შემავალი საბანკო პროდუქტები/მომსახურება და მათთვის დადგენილი პირობები:
 - 14.1. პერსონალური ბანკირის მომსახურება (თუ განაცხადით სხვა რამ არ არის განსაზღვრული);

- 14.2. მომსახურება სპეციალიზებულ სერვის ცენტრებში - SOLO ლაუნჯებში (თუ განაცხადით სხვა რამ არ არის განსაზღვრული);
- 14.3. სატელეფონო ცენტრი, რომლის ტელეფონის ნომერია (+995) 032 2 444 400;
- 14.4. სპეციალური პირობები ანაბარსა და საკრედიტო პროდუქტებზე;
- 14.5. **SOLO CLUB ანგარიშთა პაკეტით** მომსახურების ფარგლებში SOLO CLUB ADDITIONAL პაკეტის გააქტიურების შემთხვევაში (რომელზეც სრულად ვრცელდება **ანგარიშთა პაკეტისთვის** წინამდებარე დანართით დადგენილი პირობები), **SOLO CLUB ანგარიშთა პაკეტით** განსაზღვრულ ბარათებთან ერთად, **კლიენტი** უფლებამოსილია ისარგებლოს შემდეგი **დამატებითი ბარათებით**:
- 14.5.1. 1 (ერთი) SOLO CLUB ბარათი;
- 14.5.2. 1 (ერთი) American Express Platinum ან American Express Gold ბარათი (American Express საკრედიტო ბარათზე 10000 (ათი ათასი) ლარზე ნაკლები ლიმიტის დამტკიცების შემთხვევაში, American Express ბარათის ტიპი განისაზღვრება **ბანკის** შეხედულებისამებრ);
- 14.5.3. 1 (ერთი) SOLO Premium ბარათი.
- 14.5.4. 1 (ერთი) SOLO PLUS Card ბარათი.
- 14.6. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტს** გააქტიურებული აქვს SOLO CLUB ADDITIONAL პაკეტი და SOLO CLUB ან American Express Platinum **დამატებით ბარათს** შეუკვეთავს მეორედ ის დამატებით გააქტიურებს SOLO CLUB ADDITIONAL პაკეტს და შეეძლება **14.5 პუნქტით** განსაზღვრული **დამატებითი ბარათებით** სარგებლობა.
- 14.7. **ბანკის** მიერ განსაზღვრული პირობებით, სხვა (მათ შორის **განცხადში** მითითებული) **საბანკო პროდუქტ(ებ)ი/მომსახურება**;
15. **SOLO ანგარიშთა პაკეტით** სარგებლობა შეუძლია **ბანკის** იმ **კლიენტს**, რომელიც აკმაყოფილებს **ბანკის** მიერ დადგენილ, **SOLO ანგარიშთა პაკეტით** სარგებლობისთვის დაწესებულ, კრიტერიუმებს, გარდა **SOLO PAYROLL** პაკეტისა. ამასთან, **SOLO ანგარიშთა პაკეტში** შემავალი **SOLO FAMILY ანგარიშთა პაკეტი** განკუთვნილია **SOLO ანგარიშთა პაკეტით** მოსარგებლე **კლიენტების** ოჯახის წევრებისთვის (მეუღლე, და, ძმა, დედა, მამა, შვილები 16 წლიდან). ხოლო **SOLO PAYROLL** სარგებლობისთვის სავალდებულოა **ბანკსა** და **კლიენტის** დამსაქმებელს შორის გაფორმებული იყოს სახელფასო პროგრამით სარგებლობის პირობები, რომლითაც გათვალისწინებული იქნება **SOLO PAYROLL** პაკეტით სარგებლობა, **კლიენტის** დამსაქმებელ კომპანიასთან შეთანხმებული პირობებით.
16. **ბანკი** უფლებამოსილია:
- 16.1. ნებისმიერ დროს, **კლიენტის** დამატებითი თანხმობის/აქცეპტის ან/და შეტყობინების გარეშე, სრულად ან ნაწილობრივ შეცვალოს (მათ შორის დააწესოს ან/და გააუქმოს) **SOLO ანგარიშთა პაკეტით** სარგებლობისთვის **კლიენტისთვის** დადგენილი კრიტერიუმ(ებ)ი;
- 16.2. ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ, სრულად ან ნაწილობრივ შეცვალოს (მათ შორის დააწესოს ან/და გააუქმოს) **ანგარიშთა პაკეტით** მომსახურების პირობები (მათ შორის **ანგარიშთა პაკეტში** შემავალი **საბანკო პროდუქტები/მომსახურება** ან/და **ანგარიშთა პაკეტის** ან/და **ანგარიშთა პაკეტში** შემავალი **საბანკო პროდუქტ(ებ)ის/მომსახურების საკომისიო/საფასური**, მისი/მათი გადახდის ვადა/ვადები და ა.შ.).
- 16.3. ნებისმიერ დროს (მათ შორის **ხელშეკრულების** ნებისმიერი პირობის დარღვევის შემთხვევაში), ცალმხრივად, სრულად ან ნაწილობრივ შეუწყვიტოს **კლიენტს ანგარიშთა პაკეტით** მომსახურება (მათ შორის, **SOLO ანგარიშთა პაკეტის** შემთხვევაში, სარგებლობის ნებისმიერ ეტაპზე, **კლიენტის** მიერ, **SOLO ანგარიშთა პაკეტით** სარგებლობისთვის **ბანკის** მიერ დადგენილი კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში);
17. ნებისმიერი მიზეზით **კლიენტისთვის** **SOLO ანგარიშთა პაკეტით** მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში, ავტომატურად შეწყდება შესაბამისი **კლიენტის** ოჯახის წევრისთვის **SOLO FAMILY ანგარიშთა პაკეტით** მომსახურება.
18. ნებისმიერი მიზეზით **ანგარიშთა პაკეტით** სარგებლობის შეწყვეტის შემთხვევაში **ანგარიშთა პაკეტში** შემავალი **საბანკო პროდუქტით/მომსახურებით** სარგებლობისთვის **კლიენტზე** გავრცელდება შესაბამისი **საბანკო პროდუქტისთვის/მომსახურებისთვის ბანკის** მიერ დადგენილი **საკომისიო/საფასური**, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შესაბამისი **საბანკო პროდუქტისთვის/მომსახურებისთვის ბანკის** მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. ამასთან, **კლიენტი** ვეღარ შეძლებს ისარგებლოს იმ **საბანკო პროდუქტით/მომსახურებით**, რომელიც **ბანკის**

მიერ ექსკლუზიურად შემუშავებულია/განკუთვნილია მხოლოდ იმ კლიენტებისთვის, რომლებიც სარგებლობენ SOLO ანგარიშთა პაკეტით.

19. თუ ბანკი სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, ნებისმიერი მიზეზით ანგარიშთა პაკეტით სარგებლობის შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტის მიერ გადახდილი ანგარიშთა პაკეტის საკომისიო კლიენტისთვის სრულ ან ნაწილობრივ დაბრუნებას არ ექვემდებარება.
20. ბანკი უფლებამოსილია ანგარიშთა პაკეტით მომსახურების ფარგლებში კლიენტის ნებისმიერი სახის დავალიანება/გადასახდელი, კლიენტის დამატებითი აქცეპტის/თანხმობის გარეშე ჩამოწეროს კლიენტის ნებისმიერი სახის ანგარიშიდან, ხოლო თუ დავალიანება/გადასახდელი და ანგარიშზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკმა თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის მასთან მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს ანგარიშიდან, კონვერტირებული თანხა კი მიმართოს შესაბამისი დავალიანების/გადასახდელის დასაფარად.
21. SOLO PAYROLL პაკეტის მომსახურების საკომისიოს ოდენობა განისაზღვრება ბანკსა და კლიენტის დამსაქმებელს შორის გაფორმებული სახელფასო პროგრამით სარგებლობის პირობებით და SOLO PAYROLL ანგარიშთა პაკეტის სარგებლობის შესახებ განაცხადით.

მხარეთა ხელმოწერები

ბანკი

კლიენტი

თარიღი: [რიცხვი] [თვე] 20[●●] წელი